

მთარგმნელისაგან

ორი წლის წინ, ექვსი თვით მომიწია პარიზში სამუშაოდ გამაგზავრება. ჩემი სამასახური (სცენის მუშა) თეატრთან იყო დაკავშირებული და კიდევ უფრო ახლოს გავეცანი ფრანგულ თეატრს, სულ ვფიქრობდი რამე ისეთი მეთარგმნა, რაც ქართულ თეატრში სიახლე იქნებოდა. არჩევანი გავაკეთე ბერნარ-მარი კოლტესის პიესაზე - „ღამე ზუსტად ტყეების წინ“. კოლტესი ითვლება პიესის ახლებურად წერის ერთ-ერთ პიონერად. პიესის არსს ავტორი ასე განმარტავს: „ტიპი ცდილობს შეაჩეროს უცნობი, რომელიც ღამით, მარტოდმარტომ მოიხელთა. მოქმედება ხდება გარეუბანში, სადაც წვიმს, ის მას ელაპარაკება ყველაფერზე და სიყვარულზე ისე, როგორც ვერავისთან ვერ ისაუბრებ ამაზე, თუ არა უცნობთან, რომელსაც ესაუბრები, როგორც ბავშვს, ჩუმად, უძრავად.“

პიესამ დიდი წარმატებით მოიარა ევროპის არაერთი ქვეყნის თეატრის სცენა და ქართულ ენაზე მისი განხორციელება ძალიან აქტუალური მეჩვენა, რადგან ჩვენს ლიტერატურას ნაკლებად მოეპოვება ამდენად ინტიმური, შიშველი, შინაგანი ტექსტი, რომელიც არ ესაუბრება არავის, არამედ მხოლოდ თავის გასაგონად იწერება (წერილი სიტყვის პირისპირ, როგორც დეკონსტრუქციის ნაყოფი?).

ჩვენში (როგორც ცხოვრებაში, ასევე თეატრის სცენაზე) მიჩქმალულია აბსოლუტურად ეული პერსონაჟი, უცხო, რომელიც არ აკეთებს არაფერს (კამიუს მერსოსავით არ კლავს კაცს და არ გამოირჩევა ეპატაჟით), რომელიც მორცხვია, სველი და დათრგუნული ბინას ეძებს, რათა უცნობს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან იდეაზე ესაუბროს. პიესის ტექსტი შერეულია სტილის მხრივ. პერსონაჟი საუბრობს ჟარგონზეც და დახვეწილ, სალიტერატურო ენაზეც, ამიტომ თარგმანის კითხვისას შეიძლება გეგონოთ, რომ ამგვარი კონტრასტულობა ტექსტის შიგნით მთარგმნელის ბრალია. თავად პიესის სათაურიც - „ღამე ზუსტად ტყეების წინ“, სპეციფიკურ სათქმელს ატარებს, რომელიც პიესის ბოლოსკენ აშკარავდება. „ღამე ზუსტად ტყეების წინ“ - ქართულადაც და ფრანგულადაც მონსტრულად ჟღერს. ასე არც ფრანგები ამბობენ და არც ქართველები (არ მივიჩნიე სწორად ზედმეტი გადმოქართულება მაგ „ღამე ტყის პირას“ და ა.შ). კოლტესი სწორედ ასე არქმევს თავის პიესას და ამის საფუძველი გააჩნია.

მე აქაც ბევრი მინახავს კოლტესის ამ პერსონაჟისნაირი, გაღეშილი რომ არ გეშვება და გაუთავებლად გელაპარაკება, თვითონაც არ იცი - რას, მაგრამ გულიდან ამოაქვს ყველაფერი; გინდა, თავში რაღაც ჩაართყა, მაგრამ არც გინდა, რადგან მაინც სიყვარული ალაპარაკებს... ერთი ესაა, ცხოვრებისეულ პერსონაჟებს ამ ბიჭისაგან განსხვავებით, რაც არ უნდა მთვრალეები იყვნენ, მაინც რცხვენიათ, ასე აშკარად არ ამზეურებენ თავიანთ სისუსტეს, გაუცხოებულობას და სასოწარკვეთას, და არც ასე აშკარად გამხელენ შენ.

ვალერი ოთხოზორია

ღამე ზუსტად ტყეების წინ

ქუჩის კუთხიდან უხვევდი, როცა დაგინახე, წვიმს, სველი თმითა და ტანსაცმლით შეუდარებლად ვერ იბრწყინებ, მაგრამ მაინც გავბედე და მოვედი, და აი, ახლა ჩემს თავს ვერ ვუყურებ, უნდა გავმშრალიყავი, თავი წესრიგში მომეყვანა, თმები მაინც გამეშრო, რომ არ გავცივდე, წელან დაბლა ჩავედი, რათა გამერკვია, თავის მოწესრიგების საშუალება არის თუ არა, მაგრამ დაბლა იმდენი გამოყლევებული დაყუდებულა: რამდენ ხანსაც არ უნდა იშრობდე თმას, არ გცილდებიან, გაუნძრევლად დგანან და მზერით ზურგს გიხვრეტენ, უკანვე ამოვედი (მხოლოდ მოვფსი) ჩემი სველი ტანსაცმლით, ვიდრე ოთახს არ ვნახავ, ასე დავრჩები: როგორც კი სადმე მოვეწყობით, ყველაფერს გავიხდი, ამისთვის ვეძებ ოთახს, ჯერ ჩემთან ვერ მივალ, შეუძლებელია - ამიტომ ქუჩის კუთხეში როცა უხვევდი, დაგინახე, გავიქეცი, ვფიქრობდი: ღამის გასათევად ოთახის პოვნაზე იოლი რა არი, მით უფრო, თუ ღამის ნაწილს ათევ და არა მთელ ღამეს, თუ ნამდვილად გინდა, თხოვნას თუ ბედავ, მერე რა, რომ ტანსაცმელი და თმა სველი გაქვს, მერე რა, რომ წვიმს, როგორც კი სარკეში ვიხედები, ეს წვიმა ყველაფრის ძალას მაცლის - არადა, რომც არ გინდოდეს, მაინც ხედავ, იმდენი სარკეა ირგვლივ, კაფეებში, სასტუმროებში, ყველგან, შენს უკან, როგორც აქ, სადაც ახლა ვართ, ისინი გიყურებენ, ზურგს ვაქცევ ყოველთვის, სახლშიც კი, და მაინც იმდენია ყველგან, მარტო სასტუმროებში ასი ათასობით სარკე გაშტერდება, უნდა ერიდო - რადგან თითქმის ყოველთვის სასტუმროში ვცხოვრობდი, „სახლის“ ვამბობ, მაგრამ სასტუმროს ვგულისხმობ, მაგრამ ამაღამ ეს შეუძლებელია, თუმცა სხვა დროს მართლა სახლში ვარ, როცა სასტუმროს ოთახში შევდივარ, იმდენად მიჩვეული ვარ, რომ შემოდის სამ წუთში იქაურობა სახლად ვაქციო, პატარა-პატარა წვრილმანებით ისე ვაშინაურებ, თითქოს სულ აქ ვცხოვრობდი, ამ თითქოს არაფრით ვიწყობ ჩემს ოთახს, რომელშიც ვცხოვრობ ყველა ჩემი ჩვევით, დამალული სარკეებითა და ამ „ვითომ არაფრით“, უცებ, ვინმეს რომ ჩემთვის საცხოვრებლად სახლში ოთახი მოეცა, ან ყველანაირად მოწყობილ აპარტამენტში გადავეყვანე, ოჯახებით რო ცხოვრობენ, შევიდოდი თუ არა, იმასაც სასტუმროს ოთახად ვაქცევდი, მარტო რომ უნდა იცხოვრო და მეტი არაფერი, ასეთი ჩვევა მაქვს - პატარა ქოხი რომ ეჩუქათ, ზღაპრებში როგორიცაა, ტყის სიღრმეში, მსხვილი ძელებით, დიდი ბუხრით, ვერსად რომ ვეღარ ნახავ ისეთი, მასიური

ავეჯით, ასი ათასი წლის წინანდელი, იმასაც კი, შევიდოდი თუ არა, ძალიან მარტივად სასტუმროს ოთახად გადავაქცევდი, ისეთად, თავი რომ შინაურად მეგრძნო, ბუხარს ავეჯის უკან დავმაღავდი, ძელებს გავაქრობდი, ყველაფერს შევუცვლი იერს, ყველა იმ ნივთს გავაქრობდი, რომელსაც ზღაპრების გარდა, ვერსად და ვერასდროს შეხვდები, თავისებურ სუნებს, ოჯახების სუნებს, და ძველი ქვების, და ძველი, შავი ხის, და ასი ათასი წლის სიძველის, ყველაფერს რომ შორიდან დასცინის, მათ გამო რომ თავს შინ ვერ იგრძნობ, ამ ყველაფერს და სიძველეს მოვაშორებდი, რადგან ასეთი ვარ, არ მიყვარს, რაც გახსენებს, რომ უცხო ხარ, არადა მე ნაწილობრივ, ეს ისედაც ჩანს, რომ მთლად აქაურიც არ ვარ - ყოველ შემთხვევაში, იმ ყლებთან კარგად გამოჩნდა ეს, ჩემს ზურგს უკან რომ ახროვებულიყვნენ, როცა მოფსმის შემდეგ ჭუჭუს ვიბანდი - ფრანგები ყველანი ყლები არიან, წარმოსახვის უუნაროები, ეტყობა არასდროს უნახავთ, ჭუჭუს დაბანა როგორ უნდა, მაშინ, როცა ჩვენთვის ეს ძველი ტრადიციაა, რომელიც მამაჩემმა მასწავლა, ჩვენთან ჭუჭუს ყოველთვის იბანენ, და მეც ასე ვიქცევი ყოველი მოფსმის შემდეგ, წელანაც ვიბანდი ჩვეულებრივად ნიჟარაში, ზურგს უკან კი ეს ყლები აყუდებულიყვნენ, ისე მოვიქეცი, ვითომ არ მესმოდა, უცხოელი ვარ, რომელსაც ამ ყლებების ფრანგული არ ესმის და მთელი ამ ხნის განმავლობაში: - ის სასაცილო უცხოელი მანდ რას აკეთებს?- თავის ჭუჭუს წყალს ალევინებს - როგორ, თავის ჭუჭუს წყალს ალევინებს?! - ვითომ არ მესმოდა, რასაც ამბობდნენ და ვაგრძელებდი მშვიდად ჭუჭუსთვის წყლის დალევინებას, რათა ნიჟარასთან დაყუდებულე ყლე ფრანგებს ერთმანეთში ეკითხათ, ჩემს ზურგს უკან: ჭუჭუ წყალს როგორ სვამს, და საერთოდ, როგორ წყურდება? როცა მოვრჩი, მათი ჯოგი უცხოელივით გადავკვეთე, რომელსაც მათ მიერ წარმოთქმულიდან არაფერი გაუგია, ასეთი რაღაც ჩემთვის იოლია, რადგან მთლად აქაური არ ვარ და ვიცი, რომ მეტყობა, ამაში უწარმოსახვო, ყლე ფრანგები არასდროს მოტყუვდებიან, და ყველაფერ ამის მიუხედავად, შენ გაგვიდე, როგორც კი ქუჩის კუთხეში მოუხვიე, ყველა იმ ყლის მიუხედავად, ვინც ქუჩაშია, კაფეებშია, კაფეების სარდაფებშია, ყველგან, მიუხედავად წვიმისა და სველი ტანსაცმლისა, გაგვიდე, არა მხოლოდ ოთახის გამო, არც იმ ღამის ნაწილის გამო, რისთვისაც ოთახს ვეძებ, არამედ იმისთვის გაგვიდე, გაგვიდე, გაგვიდე, რომ ასეთ დროს, ქუჩის კუთხეში, ქუჩაში შენ გარეშე არ აღმოვჩენილიყავი, იმისთვის, რომ ასეთ დროს, მხოლოდ წვიმა არ აღმომეჩინა, წვიმა, წვიმა, წვიმა, იმისთვის, რომ ქუჩის მეორე კუთხეში ამჯერად შენ მეპოვნე, და რომ გამეხედა, დამეძახა: მეგობარო!, რომ გამეხედა, ხელზე ხელი მომეკიდა: მეგობარო!, რომ გამეხედა, მოვსულიყავი და მეთხოვა: მეგობარო, ასანთი ხომ არ გაქვს, ეს შენ არაფერს დაგაკლებს, მეგობარო, ბინძური წვიმა, ბინძური ქარი, ბოზური გზაჯვარედინი, ამ ღამით აქ ტრიალი არც ერთს არ გაგვისწორდება, არც შენ და არც მე, სიგარეტიც არ მაქვს, მოწევა კი არ მინდოდა,

ასანთი რომ გთხოვე, რომ გითხარი, მეგობარო, ასანთი ხომ არ გაქვს, მინდოდა, მეთქვა, მეგობარო: ბოზური კვარტალი, ბოზური ჩვევა აქ ტრიალისა (ხალხთან მისვლის მანერა!), და შენც აქ ტრიალებ, გალუმპული, შეიძლება ნებისმიერი დაავადება აიკიდო, სიგარეტს კი არ გთხოვ, მეგობარო, არც კი ვეწევი, არაფერი არ მოგივა, რომ გაჩერდე, არც ასანთი, არც სიგარეტი, არც ფული (მერე კი წახვალ!, ას ფრანკიც კი არ მიჭყავის ამ საღამოს), თუმცა რაღაც მომეძებნება ყავისთვის, დაგპატიჟებ, მეგობარო, ამ უცნაური განათების ქვეშ ტრიალს ჯობია, შენ არაფერი დაგიჯდება, - შეიძლება ხალხთან მისვლის ჩემბური მანერა მაქვს, მაგრამ საბოლოოდ, ეს მათ არაფერს აკლებს (ოთახზე არ ვამბობ, მეგობარო, ღამის გასათევ ოთახზე, ვინაიდან ყველაზე წესიერ ტიპებსაც აქვთ პირი, რომელსაც კუმავენ, მერე კი, წახვალ!, ოთახზე არ ვილაპარაკებთ, მეგობარო), მაგრამ მინდა ერთი იდეა გითხრა - მოდი, აქ ნუ გავჩერდებით, თორემ ნამდვილად რაღაც დაავადებას ავიკიდებთ, - არც ფული, არც სამუშაო, ეს არაფერში გვაწყობს (მე არცერთს არ ვეძებ, ამაში არაა საქმე), არამედ ის, რომ მე მაქვს იდეა, რომელიც თავდაპირველად შენ უნდა გითხრა, შენ, მე, რომლებიც ამ უცნაურ ქალაქში ვტრიალებთ, ცარიელი ჯიბით (მაგრამ ყავაზე გპატიჟებ, მეგობარო, არ გეგონოს, რომ გადავიფიქრებ), ერთი შეხედვითაც ჩანს, ფული არაა ის, რაც შენ ან მე მიწაზე გვაჭედებს! ამიტომ მაქვს იდეა, მეგობარო, იმათთვის, ვინც შენნაირი და ჩემნაირია, უფულო და უმუშევარი, სიმართლე გითხრა, მე არცერთს არ ვეძებ - გარეთ სამუშაოზე, ჩვენ (სხვანი), ცარიელი ჯიბეებით ბევრს არ ვიწონით, პატარა ნიავიც კი წაგვიღებს, თუ არ მიგვაბამენ, ხარაჩოებზე დარჩენას ისე ვერავინ გვაიძულებს: ქარის ერთი წამობერვა და მოვწყდებით, მსუბუქნი - რაც ეხება საწარმოში მუშაობას, მე, არასოდეს!, ძნელია აგიხსნა, ყველაფრის გაგება მეც მიჭირს, თუ არაფერს ავურევ, ჩემი იდეა ისაა, რომ - ეს არ არის რელიგია, არც დემაგოგია, რომელსაც როგორც გინდა ისე მოყვები და მაინც არაფერი შეიცვლება, არც პოლიტიკაა, მით უფრო პარტია, ან რამე მსგავსი, არც პროფკავშირებივითაა, რომელთაც ყველაფერი იციან, ყველაფერს ხედავენ და არაფერი გამოეპარებათ, ამას თუ ჩემს იდეას დავამატებთ, ადგილი აღარ დარჩება და ეს არაფერს არ მოგვცემს, არა, ჩემი იდეა სრულებითაც არ არის ასეთი, დამშვიდდი, მეგობარო: ის ეხება ჩვენს დაცვას, მხოლოდ და მხოლოდ დაცვას, ვინაიდან რაც ჩვენ გვჭირდება, თავის დაცვაა, არა? შეიძლება ფიქრობ: მე არა, მაგრამ მე შენ გეტყვი: შეიძლება მე მოვედი შენთან, მე მჭირდებოდა ოთახი ღამის გასათევად (არა, მეგობარო, მე შენთვის არ მითქვამს, რომ მჭირდებოდა), მე გთხოვე: მეგობარო, მომე ასანთი, მაგრამ ყოველთვის, ვინც შენთან მოდის, შენზე სუსტი როდია და მაშინვე შევნიშნე, რომ ძლიერს არ გავდი, არც ისე სოლიდური გეთქმოდა, როცა გალუმპულმა შორიდან მოუხვიე, მაშინ, როცა მე, მიუხედავად ყველაფრისა, რესურსი გამაჩნია, და თვალის ერთი შევლებით ვცნობ, ვინ არ არის

ძლიერი, ყველაზე მეტად სიარულზე ვცნობ, პატარა ნაბიჯებით, ნევროზულობით, ნერვიული ზურგით, და მხრების ნერვიული მოძრაობით, როგორც შენ, ნაბიჯებში არასდროს ვცდები, ასეთების სახე ასევე პატარ-პატარა ნაკვთებით შეკერილი, უშნო ან რამე კი არა, მაგრამ ნერვიული!, როგორიც შენია: სახეზე ყოველთვის ვამჩნევ იმ რაღაცას, როგორც არ უნდა იარონ, შეიძლება კაიბიჭურად მოტასაობენ, მაგრამ ნერვებზე არიან, აჭრილი ბიჭები პირდაპირ თავიანთი დედიდან მოდიან, ეგეთ სიარულში, წვიმაში, თითქოს რომ ყველაფერი კიდიათ, მაშინვე იმ ნევროზულობას ვხედავ, რომელსაც ვერ დამალავ - რადგან ყველაფერი, რაც ნევროზულია, უშუალოდ დედიდან მოდის, და ეს აწყვეტილი ტიპები, რასაც არ უნდა შვრებოდნენ, თავიანთ დედას ვერ მალავენ, - აი, მე კი, უფრო მეტად სისხლი ვარ, ჩონჩხი და მუსკულები, ყველაფერი ის, რაც მამიდან მოდის, ნერვები არასდროს მეშლება, რადგან მამაჩემი, პირიქით, მაგარი კაცი იყო, ფიქრით ნერვებს არასდროს აიშლიდა, წყობიდან ვერაფერი გამოიყვანდა, მთლიანად ძვლის კაცი, მუსკულების, სისხლის ადამიანი, ვისაც შეიძლება ეწოდოს: *გამკეთებელი*, და მეც შეიძლება იგივე მეწოდოს: *გამკეთებელი*, ამიტომაცაა, რომ პოლიტიკა და პარტიები და პროფკავშირები, როგორიც ახლაა, და პოლიცია, და არმია, რომლებიც ყველანი პოლიტიკურები არიან, ეს მე არცერთი არ მინდა, ყველაფერი ძალიან არეულია, მათ არიეს, მათი თავიდან მოდის ყველაფერი, ისინი საწარმოში გიკრავენ თავს, და საწარმოში - მე - არასოდეს!, მაგრამ ყველა შემთხვევაში იმით დამთავრდება, რომ საწარმოში გიკრავენ თავს, მაშინ, როცა იდეა, რომელსაც გეუბნები, შემდეგში მდგომარეობს: საერთაშორისო დონის პროფკავშირი - ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონე (აგისხნი, მაგრამ მეც არ მესმის ბოლომდე კარგად), - მაგრამ არა პოლიტიკა, მხოლოდ დაცვა, ამ შემთხვევაში მე უკვე მთლიანად ვერთვები, მე ვიქნები ის, ვინც გამკეთებელია და აკეთებს, ჩემს საერთაშორისო პროფკავშირში, იმ ბიჭების დასაცავად, რომლებიც არცთუ ისე ძლიერნი არიან, დედიკოს ბიჭები, დედის პირდაპირი ვაჟიშვილები, ტიპობის ხიბლში ჩავარდნილნი, ნერვებზე რომ სხედან, რომ მოძრაობენ და ტრიალებენ მარტონი, ბნელ ღამეში, შესაძლო დაავადებათა აკიდების რისკის ქვეშ - და აი, სწორედ აქ ვხედავ მე თქვენი დედების უვარგისობას, შეხედე დედაშენის უვარგისობას: ის შენ გამძლევეს ნერვულ სისტემას, და მერე გაგდებს რომელიღაც გზაჯვარედინზე, ბოზური წვიმის ქვეშ, სუსტს, ეჭვის არმქონეს, რადგან მე ვხედავ, რომ არაფერს ეჭვობ, როგორი პატარა და ნერვიული ხარ, ყველაფერს ენდობი, მაგრამ ნუ წარმოიდგენ, რომ ნაბიჭვრები აქ არ არიან, რომ შენ არ აინტერესებთ, კარგად ვიცი, ისინი გვედებიან, ამას წინათ მე თვითონ მივიღე ცხვირ-პირში იმის გამო, რომ შენსავით არ ვიეჭვე, მაგრამ ახლა, მე მათ ვხედავ ყველგან, ისინი აქ არიან, გვეფათურებიან, ყველაზე უარესი ნაბიჭვრები, რისი წარმოდგენაც შეგიძლია, რომელთა გამოც გვაქვს ის ცხოვრება,

რომელიც გვაქვს: უხილავები მეგონნენ, დამალულები სადღაც მაღლა, ბოსებზე, მინისტრებზე, ყველაზე მაღლა, მკვლელთა, მოძალადეთა, იდეის გამრყენელთა სიფათებით, რომელიც ნამდვილი სიფათი არ არის, როგორც შენი ან ჩემი, ამათ სახელი არ აქვთ: თაღლითების, ფარული სექსუალური მოძალადეების, დაუსჯელი გარყვნილების, ცივების, ანგარებიანების, ტექნიკოსების კლანია, მოხერხებული ნაბიჭვრების პატარა კლანი, რომელმაც გადაწყვიტა: ყველანი საწარმოში და სიჩუმე!, (და საწარმოში, მე, არასოდეს!), საწარმოში და პირი დაკეტეთ! (და რა მოუვა ჩემს პირს, თუკი გავაღებ?), საწარმოში, პირი დაკეტეთ, და ჩვენ გვაქვს ბოლო სიტყვა - და მათ აქვთ ბოლო სიტყვა, მქერავების მცირე ჯგუფი, რომელმაც გადაგვიწყვიტა, ზევიდან, საკუთარ თავში ორგანიზებულმა, საკუთარ თავში მოანგარიშემ, საერთაშორისო დონის ტექნიკოსმა - საერთაშორისო დონის! ჩემი იდეა, სწორედ, საერთაშორისო დონის პროფკავშირს ეხება: ეს მნიშვნელოვანია, საერთაშორისო დონე, მე შენ აგისხნი - მაგრამ ახლა, გვიდებენ!, ან საწარმოში უნდა იყო, ან წონა დაკარგო, როგორც შენ, როგორც მე, რათა უმცირესმა ნიავემა წაგიღოს, ვინაიდან: რა შეგვიძლია შენ ან მე, როცა მათ უკავიათ სამინისტროები, პოლიცია, არმია, ბოსები, ქუჩა, გზაჯვარედინები, მეტრო, შუქი, ქარი, მოუნდებათ თუ არა, მტვერივით გაგვაქრობენ, ზევიდან? რა შემოიძლია ამის წინააღმდეგ მოვიმოქმედო, ჩემი პროფკავშირების იდეის გარდა? - შენ არაფერს ექვობ, ისევე, როგორც მე წელან, მაგრამ ისინი უკვე აქ არიან, გვეძებენ, დაბლა ჩამოვიდნენ და მე უკვე მივიღე მათგან დინგში, რადგან უკანასკნელი ნაბიჭვრები, რომლის წარმოდგენაც შეგიძლია, ისეთ უცნაურ ფორმებს და საშუალებებს იყენებენ, ეკ, ისე უშუალოდ რომ მოდიოდნენ, მათ სიფათზე ყველაფრის დანახვა შეგვეძლოს, მაშინვე რომ ვხვდებოდეთ, საქმე ვისთან გვაქვს, და ვხიოთ ეგრევე, მაგრამ საშუალებები, რომელსაც იყენებენ, ისეთი სიფათებით მოგადგებიან, რომ ვერ უძლებ, არ ექვობ და უკვე უკანასკნელი ჩათლახის ანკესზე ხარ - მაგრამ როგორ უნდა მიხვდე? მე არ შემეძლო: მე რომ შემძლებოდა წარმომედგინა, ზუსტად ისეთს წარმოვიდგენდი, როგორიც დავინახე, როცა მასთან მივედი: პატარა, სუსტი, ქერა, მელირებით, დახუჭუჭებული, მაგრამ არც ზედმეტად დახუჭუჭებული და არც ძალიან ქერა, ზუსტად ისეთი, როგორიც საჭიროა, რომ ენდო და აუცილებლად გაეკიდო, და როცა მივაჭერი: გეთაყვა, ასანთი ხომ არ გექნება, მეგობარო, ბოდიში... თვალები, რომელიც გიყურებთ, მხოლოდ წარმოსახვაში თუ გინახავთ, და ისე ბრწყინავს, რომელსაც მხოლოდ მაშინ წარმოიდგენთ, როცა გინდებათ, სადამო დაგეგმოთ უდაბნოში, სადაც არაფერი ხდება, მაგრამ არის სხვა სადამოები, მიუხედავად წვიმისა, მიუხედავად ამ ტალახისფერი შუქისა და ღამისა, რომელიც ყველაფერს ბინდავს, სადაც გოგონები დადიან - არა ერთი, შემთხვევითი, არამედ მრავალი, ერთმანეთის მიყოლებით, ერთმანეთზე ლამაზი, მაგრამ ისეთი ლამაზი არა, როგორსაც შენ ფიქრობ, არამედ

წარმოდგენლად ლამაზი, რომ უნდა გადაგრიოს, ყოველ მომდევნო საათში უფრო რომ გაგიჟებს, გოგონები, რომლებიც საათიდან საათამდე სულ უფრო მიუწვდომელნი ხდებიან, ამას არ უჩანს დასასრული, გრძელდება და გრძელდება, დაფრინავთ, თიშავთ წარმოსახვას, რადგან წინ ასეთი გოგონები დაიარებიან!, და როცა უკვე გგონია, რომ მათი ყურებით უფრო მეტად ველარ გაგიჟდები, მოდის ერთი ისეთი, რომ ყველაფერი უნდა მიატოვო და გაეკიდო, ყველა შემთხვევაში დაივიწყო, რომ წვიმს, რომ ფულიც არ გაქვს, რაც ყველა შესაძლებლობას გართმევს, მაგრამ ისიძულელებულს გხდის, გაეკიდო და მიეჭრა, მისი თმები, დახრილი თვალები, სუსტის იერით და ძან დახუჭუჭებულიც არა: მეგობარო, მეგობარო! - და სწორედ აქ: მეგობარო, მეგობარო! -, ისინი ამას უცდიან, რათა ბოლო დონის ყლესავით მოვიქცეთ: რომ შემძლებოდა, მცოდნოდა, რომ გაღმელი იყო, რომ ის ბოზი იყო - წამო, ფისო, ჩემთან, ამ ღამით ვირთხებზე ვინადიროთ -, დინგი რომ არ დაელო, ვერასდროს გავიგებდი, ასეთ დინგს რომ რწყევაც შეეძლო (ადრე, როცა ვმუშაობდი, ვფიქრობდი, - ყველანი, და გოგონებიც, ღამე რომ დადიან, ცვეტში ერთნაირები არიან, შეიძლება მათთან საუბარი, შენ ოღონდ რამე კითხე, ყველა, გარდა მანიაკის სიფათიანი ნაბიჭვრების პატარა კლანისა, მაგრამ ახლა, მგონია, რომ ყველა გაღმაა, და მე უკვე აღარასოდეს გავეკიდები გოგონებს გიჟივით, აღარასოდეს გადავირევი), მან, მან მე ვერ მიცნო იმ შუქზე, რომელიც ერთმანეთს გვამსგავსებს, - ვირთხები გავწეწოთ, ფისუნია, და მერე ჩემთან დარჩები! - მეუბნება ძალიან ახლოდან, ჩამჩურჩულებს უცნაურ კაფეში, სადაც მიმიყვანა ხელჩაკიდებულმა (ხელი ჩემზე უდევს, მზადაა, მთელი ღამე ჩემთან გაატაროს, თავის ოთახში ამიყვანოს, მე მას მოვწონდი ნამდვილად, ვიდრე თავისი ბოზობის სმენით არ გამაცოფა, ვიდრე ჩემს ნათქვამზე თვითონაც არ ავარდა, ერთმანეთი მოგვწონდა და რამე), მაგრამ ეს იმიტომ, რომ არ იცოდა, ვინ ვიყავი - ჩვენ ახალი ძალა ვართ, ის მეუბნება, მე ამის ნაწილი უნდა გავხდე -, მას რომ ვუყურებდი, მე ეს უკვე მინდოდა, იმდენად აგაფრენს, მაგრამ ყველაზე უარესი ტექნიკური და საერთაშორისო ნაბიჭვრობა ასეთ ფორმებს იღებს, მათ ყველა გაღმა გაჰყავთ, მათ შორის შეუძლებელი გოგონები, რომელთაც ჭკუიდან გადაჰყავხარ, სანამ ლაპარაკს დაიწყებენ, მაგრამ მან მე ძალიან დამთრგუნა რაც მითხრა იმით, როგორც მითხრა იმით, და იმით, რომ არ შემეძლო, მისთვის არ მესმინა, ის მე საერთოდ ვერ მცნობდა იმ უცნაურ კაფეში - იყავი ჩვენთან, ფისო - და მე იქ ვიქნებოდი ბოლო დონის ყლესავით, უცებ, პირიდან რომ არ გამომვარდნოდა (უფრო ხმამაღლა, ვიდრე ვისურვებდი), ვინც ვარ: მეგობარო, აი, მე ვინ ვარ, თვით უცხო, საერთაშორისო პროფკავშირის წევრი, და ასე შემდეგ, და ახლა თუ არ მოკეტავ, დინგს ჩაგილეწავ, - და ჩავუღეწავდი, გარშემო მისი მეგობრები რომ არ ყოფილიყვნენ, პარასკევ ღამის ვირთხებზე მონადირენი, კბილებამდე შეიარაღებული ფისუნიების ბანდა, მე, ეული, უცხო ყველა მათგანის წინააღმდეგ.

სად ტრაკში შევრჭობილიყავი, ბოლო დონის ყლესავით?, აი, ამ შუქით, რომელიც მაღიზიანებდა, მაგრამ, ვიდრე ჩემი პირი ამ ყველაფერს (ჩემდა უნებურად) უდროოდ დროს ამოაფრქვევდა, ხომ შეიძლებოდა, მანამდე მას სიმღერა დაეწყო?, ეს ყველაფერი ჩემთვის კი არ შეეფურთხებინა (ვინაიდან ის ჩემში არ ეჭვობდა), არამედ სიმღერით ეთქვა?, მას შეეძლო ჩემთვის ნებისმიერი რამ ემღერა და მე უკვე აღარაფერი შემეძლებოდა, მისი ხმის პირველივე ბგერის გაგონებისას ყველაფერზე თანახმა ვიქნებოდი, თუკი იმღერებდა, მე არ ვიტყოდი, ვინ ვიყავი, ყველაფერს დავთანხმდებოდი, ახალი ძალები, ფაშისტები, როიალისტები, დასავლეთელები, ყველა ვირთხებზე მონადირეს, ორგანიზებულ გამპატიურებლებს, საერთაშორისო თაღლითებს, რასაც ისურვებდა იმას ვიტყოდი, ვისზეც მეტყოდა იმაზე ვინადირებდი, ოღონდ ისეთი ლამაზი ყოფილიყო, როგორც შეუძლებელია, იმის გამო, რასაც დამპირდებოდა, ნადირობის შემდეგ, მხოლოდ ჩვენ ორისთვის, იმის გამო, რომ ყველაფერს მიმატოვებინებდა, რათა მას გავეკიდებოდი, და თუ ამღერდებოდა, ისე ამღერდებოდა!, რა უნდა მექნა? ყურები დამეხშო? თავის ტუჩებს ყურთან თუ მომიტანდა, რა უნდა მექნა? გავქცეულიყავი?, თუ ხელს ბარდაყზე შემახებდა, მაშინ რაღა უნდა მექნა? ხელი მომეჭრა? - თუ: საკუთარი მომეჭრა? აი, რით გიჭერენ, როგორც უკანასკნელ სირებს, ასე რომ, მაგრად უნდა მივიკრათ, თავი შევიზღუდოთ, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ არ დავყლევდებით!, ჩვენ სხვანი ვართ, უცხონი, მეგობრებო, საჭიროა ყველაფრისგან თავის შეკავება და ძლიერად მიკვრა: ჩემი პროფკავშირების მთავარი აზრი ისაა, რომ ავკრძალოთ ავკიდგეს, ყველგან და ყოველთვის, ვინაიდან ყველაფერს პატარა, საიდუმლო კლანი მართავს, რომელსაც უჭირავს სამინისტროები, პოლიცია, არმია, სამუშაო, ყველა და ყველაფერი, ქერა-ხუჭუჭა, ნამცეცა ნაბოზვრებამდე, ისინი იმდენად უსუსურები ჩანან, რომ ამას ვერც მოტვინავ, მაგრამ ისინიც, ისევე, როგორც ყველა, გაღმა არიან, აყენება და გათავება უნდა ავიკრძალოთ, უნდა გვეჭიროს ნებისმიერ ფასად, რადგან სწორედ აქ გველოდებიან ისინი, რათა წაგვატყვნან, ყველა ჩვენი შესაძლო ძალით და საშუალებით, ვიდრე არ მოვიგებთ, ვიდრე ჩემი საერთაშორისო პროფკავშირის იდეა გამარჯვებით არ დასრულდება, და მაშინ ყველაფერი ჩვენი გახდება: კაფეები, ქუჩა, ბოზები, შეიარაღებული ფისოები, მთელი ცა და მთელი დედამიწა, აი, მაშინ კი ვირთხებს შევუნძრევთ, მეგობარო, ჩვენებურად, და მე, გამკეთებელი, მე, რომელიც ვარ ძვლებისგან, მუსკულებისა და სისხლისგან, მე, რომელსაც ყოველთვის ყველაფერი მაკლდა და იძულებული ვიყავი, ყოველთვის არაფერს დავჯერებოდი, როცა დადგება ჩემი დარტყმის დრო, თავს აღარ შევიზღუდავ, ყველგან მოვძებნი, სად არიან ახლა ისინი, ვინც ადრე ზევინდან მაფურთხებდა? და მე მათ ყველგან ამოვთხრი, რადგან ეს იქნება ჩვენი საათი და თავს აღარ შევიკავებთ, მეგობარო: ტყავი გაადრეთ მაგათ, ახლა შეუდეთ,

შეუთავეთ, ყველაფერი უქენით, რაც შეგიძლიათ, ყველაფერი, რისგანაც ამდენ ხანს თავს იკავებდით, ცემეთ ისინი ყველგან, ჩაძირეთ მათი მკვლელი სიფათები, მათი ლუქსური სიფათები, ისინი არიან, რომლებიც ერთმანეთში ათავებდნენ და ჩვენში ათავებდნენ ძალიან დიდი ხანი, - მაგრამ ამასაც ვიტყვი: აქეთ-იქით მოძრაობაში, კაიბიჭებივით აწყვეტილ მხრებს თუ სადმე წააწყდით, და ეს ერთ-ერთი იმ ნერვიულებიდან იქნება, რომლებიც პირდაპირ დედიდან მოდიან, ქუჩის კუთხემდე მიუშვით, დაუცველი, უაზრო, თუ ისევ კაიბიჭურად განაგრძობს ტრიალს და მოძრაობას, შეეშვით, არ დაარტყათ, ნუ შეეხებით, ის ჯერ კიდევ ბავშვია, რომელსაც დაცვა სჭირდება, - და ესაა ჩემი იდეა, რაც, გარწმუნებ, მალე ასრულდება, თუნდაც ახლა არც ფული გვქონდეს და არც სამუშაო, თუნდაც ოთახი რომ არ მაქვს ღამის გასათევად, და შენ რომ გიწევს, უცებ, ეჭვქვეშ ჩავარდე, და თუ გკითხავენ: ვინ არის უცხოელი, ვინც შენთან ერთადაა?, მიუგებ: არ ვიცი, არ ვიცი, და თუ ჩაგაყინდებიან, შენ ეტყვი: მე მას არ ვიცნობ, უცნობია, რომელმაც ქუჩაში გამაჩერა, როცა მოსახვევში შემოვუხვიე, ღამის გასათევად ოთახი მთხოვა, მაგრამ არა მთელი ღამით, ადრე მე ის არასდროს მინახავს, რადგან მე კარგად შევნიშნე შორიდან, რომ ბავშვი იყავი, ქუჩის კუთხეში დაგდებული ფისოს მსგავსი, უმცირესი ნიავი რომ წაგიღებდა და გაგაფრენდა, და შემდეგ, როცა გაგეკიდე, ერთხელ, მეორედ, მესამედ, მხოლოდ ცარიელ ქუჩასა და წვიმაში, ამჯერად აღარ მომინდა, დამეკარგე, შემთხვევით არაფერი გამიკეთებია, მომზადებული ვიყავი: პროჭების მხრიდან გზაზე ხელის შეშლა გამოვრიცხე იმით, რომ მაგათ დავუძმაცადდი, ვითომ მათ ყლეობებს ვუსმენ და სავსებით ვეთანხმები, - ყლეობები, რომელსაც ყოველ ღამე, გარეთ ამბობენ ამ ბოზური შუქისა და სევდიანი წვიმის მიუხედავად, სასაცილო ჩიტებივით მხოლოდ ამ ყლეების თავებში არსებობს ეს ყლეობები, და იმისთვის, რომ ყველა ამ ყლესთან თანხმობაში იყო, შენი აზრი უნდა გამოთქვა, ფერები მოიგონო, და მეც ვიგონებდი, ვმალავდი, რომ უცხო ვიყავი, ყველაფერზე ჩემს აზრს გამოვთქვამდი, ძირითად პრობლემებზე, კერძო საკითხებზე, მოდაზე, პოლიტიკაზე, თავი მტკიცედ მეჭირა, ქარს ზურგს ვუშვებდი, ზურგი ყოველთვის ქარის პირისპირ მქონდა, რათა ხელ-ფეხი არ შემკვროდა, როცა შენკენ გაქცევა დამჭირდებოდა, ჩემს თავს ვეუბნებოდი: არაფერია იმაზე იოლი, იგრძნო, ქარი საით უბერავს, ქარის მხარე დაიჭირო, რათა წინააღმდეგობა გამორიცხო, - არაფერს შეეძლო გავეყიდე, ჩემი უცხოელი ჭუჭუ საიმედოდ მქონდა დამალული, შარვლის შესაკრავთან ხელებით მეჭირა და ფისისგან თავს ვიკავებდი, შემთხვევით რომ არ გაფვანტულიყავი და ჭუჭუსთვის წყალი არ დამელევიინებინა, - ისინი მაშინვე მიცნობდნენ, როგორც უცხოელს თავიანთ რიგებში, მაგრამ მყარად ვიდექი ამ სასაცილო შუქზე, რომელიც არაფერს ანათებს, რომელიც ამ მოლაყბეებს კაფეებსა და ქუჩებში ძმებად აქცევს ერთნაირი სახითა და საზრუნავით, რომელიც

აუჩინარებს იმას, ვისაც განსხვავებული წუხილი აქვს, უცხოვს ამათ შორის, ჩემი იდუმალი მზერა მათ მიღმა იცქირებოდა, და ზურგი მათსავით ქარის საპირისპიროდ მეჭირა, ვიღიმოდი და ვეთანხმებოდი, გამოგონილი წუხილისგან უკვე ნახევრად მთვრალი ვფიქრობდი: ჩემი საზრუნავი სხვაგანაა, მე ის უნდა დავმალო, და როგორც კი დაგინახე, გავიქეცი, გავიქეცი, გავიქეცი, მაგრამ არავინ შემწინააღმდეგებია, მომზადებული ვიყავი, მათი მხარე მეჭირა, მათ ვუსმენდი, ვმალავდი ჩემს განსხვავებულობას, და ახლა ჩემმა გაქცევამ ისინი გააკვირვა, მე უკვე ქუჩის კუთხეში ვარ, როცა ისინი ფხიზლდებიან, როცა უცხოელად მცნობენ, როცა ტრავში ქვის სროლას მიწყებენ, ემზადებიან, სადმე „დამისატკაონ“, მალე, ამასობაში მე შენ მოგეჭერი, გიყვები: ქუჩის კუთხეში რომ უხვევდი, შეგნიშნე, ბოდიში, ნახევრად მთვრალი ვარ, საუკეთესოდ არ გამოვიყურები, მაგრამ ოთახი დავკარგე, ოთახს ვეძებ ღამის გასათევად, უფრო სწორად ღამის ნაწილის, რადგან ცოტა ხანში მთვრალი აღარ ვიქნები, ხუთი წუთი მომეცი, - ამგვარად, ვამბობდი, რომ მთვრალი ვარ და ხუთი წუთი მჭირდება, ნახევარი თავი ყლეობით მქონდა სავსე, მეორე ნახევარი - მთლიანად შენით, ველარც ვბედავდი, შენთვის შემეხედა, ისეთი გაბრუებული ვიყავი მოდით, პოლიტიკით და ხელფასით - როცა ვმუშაობდი, ჩემი ხელფასი უცნაური, ერთი ციდა ჩიტი იყო, რომელსაც მოფრენისთანავე გალიაში ვკეტავდი, მაგრამ კარს ოდნავ გამოვალედი თუ არა, მაშინათვე გამოფრინდებოდა და აღარასოდეს ბრუნდებოდა, ისლა მრჩებოდა, მთელი დარჩენილი დრო მასზე მედარდა, ახლა აღარ ვმუშაობ -, მაგრამ ბოლომდე ვერ გადავწყვიტე მისთვის შემეხედა, ვისი გამოწვდილი ხელიც ხელში მეჭირა: ხუთ წუთს ვითხოვ, რათა სიმთვრალემ გამიაროს, მერე დავჯდებით, ყავას მე გადავიხდი, მას ჩემ წინ დავსვამ, სახით სარკისკენ, რომელიც ჩემ ზურგსუკანაა, დამავიწყდება ყველაფერი, ბოზური წვიმა, ბოზური შუქი, მოხეტიალე ყლეები და სევდიანი ფერები, რომლებიც თავში ჩამიწყვეს, და მე მას შევხედავ, გავბედავ, მიუხედავად ისევ სველი თმებისა, მიუხედავად ტანსაცმლისა, რომელიც არ გამშრალა, დაველოდები ჩემი შესაძლებლობების გამოვლენას, რომლის უნარიც ნამდვილად მაქვს, - ვეძებ ოთახს ღამის ნაწილის გასათევად, რადგან ჩემსას ველარ ვპოულობ: ეს მინდოდა მეთხოვა, როგორც კი ქუჩის კუთხიდან დაგინახე, არაფრის გულისთვის სამყაროში არცერთს ამ ყლეებიდან ამას არ ვთხოვდი, მათთან ერთად ვაბირჟავებდი, მაგრამ მე ამათ არ ვგავარ (ამას შენიშნავდი), მაგრამ ვატასავებდი ამათთან ერთად ათასი მიზეზის გამო, მაგრამ ყოველთვის საიდუმლოდ ჩემი ერთი ნახევრით ოთახს დავეძებდი, სადაც ვიღაც ყლე არ ამეკრობოდა, ვისთანაც უნდა ვმალო, რომ უცხო ვარ, ვილაპარაკო მოდაზე, პოლიტიკაზე, ხელფასზე და ჭამაზე, ყველა ეს ფრანგი ყლე ერთნაირი სიფათით და საზრუნავით, ჭამაზე ლაპარაკობს, წვიმაში ქარისთვის ზურგი აქვთ მიშვერილი და გამუდმებით ჭამაზე ჭორაობენ, და მე, ვინც ამაზე თავს ვუქნევდი,

იმისთვის, რომ ვყოფილიყავი თავისუფალი მაშინვე, მერბინა, მერბინა, მერბინა, მე, რომელიც არ ვჭამ, საერთოდ არ ვჭამ, ვინც დღითიდღე ვმსუბუქდები, ვინც თავს არ ვიმძიმებ იმისთვის, რომ ჩუმად ვეძებო, რასაც ვეძებ, ამ მთქვლეფავების მიღმა, წრეზე რომ დამდგარან, გარეთ, კაფეებში, თავს ვუქნევდი, თავს ვუქნევდი, თოხლაობაზე მათი ლაყბობით ვთვრებოდი, ვგრძნობდი, ქარი ზურგში მსჭვალავდა, ამიტანდა, გასიებულ მთქვლეფავებსა და მათ ტყვიის სიჩლუნგეს რომ არ გამოვდებოდი, მეც ისევე მსუბუქად წამიღებდა, როგორც შენ აგიტაცეს ჰაერის ნაკადებმა, როცა ქუჩის კუთხეში მოგკარი თვალი, ერთხელ, მეორედ, მესამედ, შორიდან კარგად ჩანდა, რომ ჯერ კიდევ ბავშვი იყავი, ამრიგად, მივატოვე ყველაფერი, ქარმა ამიტაცა, და გავიქეცი, ძლივ-ძლივს ვგრძნობდი, მიწას თუ ვეხებოდი, შენსავით სწრაფად, ისე, რომ ამჯერად არაფერს შევუფერხებივარ, ბოლოს მოგეჭერი: ჯიგარო, არ გეგონოს, რომ ცისფერი ვარ, იმიტომ, რომ ვირბინე, იმიტომ, რომ შენი ხელი მიჭირავს, იმიტომ, რომ გაგაჩერე, არ გიცნობ და გელაპარაკები, მაგრამ საკმარისად კარგად გიცნობ, ჯიგარო იმისთვის, რომ ერთი-ორი სიტყვა გითხრა - ხიდზე მდგარ გოგოზე - რომელსაც ჩემთვის ვერ დავიტოვებ, - ესეც რომ არ იყოს, განა, ცისფერი გაგაჩერებს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში, როცა თმები და ტანსაცმელი სველი აქვს? ახლა შენ მე ამგვარად მხედავ, მაინცდამაინც არა ისე, როგორც საჭიროა (მაგრამ ეს გაივლის) და თვალის ერთი შევლებით მე მაშინვე შევნიშნე, რომ შენ სწორედ ის ხარ, ვისთან ლაპარაკიც შეიძლება: არ ვიცი, იმ გოგოს რა ერქვა, რაც მითხრა, ნამდვილი სახელი არ იყო, ამიტომ ვერც იმას გეტყვი, როგორ იყო გაკეთებული,¹ ვერავინ გაიგებს, ვინ ვისთან იწვა, შუალამე, ხიდზე, შუა ქალაქში, ნაფეხურები ქვევით, ქვაზე ჯერ კიდევ ატყვია: შენ სადღაც სეირნობ, საღამოს, უნებლიეთ, ხედავ გოგოს, რომელიც წყლისკენ იხრება, უნებლიეთ უახლოვდები, ის შენკენ ტრიალდება, გეუბნება: ჩემი სახელი არის მამა², შენსას ნუ მეტყვი, შენსას ნუ მეტყვი, შენ მას არ ეუბნები შენს სახელს, შენ მას ეუბნები: საით მიდიხარ? ის გეუბნება: შენ საით ისურვებდი? დავრჩეთ აქ, არა?, შენ რჩები გამთენიამდე, ამ დროს ის მიდის, მთელი ღამე ვეკითხები: შენ ვინ ხარ? სად ცხოვრობ? რას აკეთებ? სად მუშაობ? კიდევ როდის შევხვდებით? მდინარის წყალზე გადახრილი, ამბობს: მდინარეს არასდროს ვტოვებ, ნაპირებს მივყვები, ხიდიდან ხიდზე გადავდივარ, არხს ავუყვები და ისევ მდინარეს ვუბრუნდები, მდინარის ნაკებს ვუცქერ,

¹ იგულისხმება, ვინ იყო ამ გოგოს მამა და ვისთან გააკეთა, ანუ ჩასახა, ანუ ვინ იყო, აგრეთვე, დედამისი, და რასთან დაკავშირებით (როგორ) ჩაისახა თავად ეს გოგო. აქვე, ქარაგმა იმაზე, თავად ეს გოგოც ხიდზე ხომ არ ჩაისახა მეძავისაგან, ასე ძლიერ რომ უყვარს ხიდები და მთელი ღამის მანძილზე ვერ შორდება მდინარის ნაპირებს. (მთარგმ.)

² „mama“-ს ფრანგულ ენაში აქვს სამი მნიშვნელობა: ის ნიშნავს დედას, ქალწულს, და ასევე, ქუჩურ ენაზე - ძალიან მიმზიდველ ქალს („ნამა“). ამ პიესის კითხვისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს სამივე მნიშვნელობა. (მთარგმ.)

დამბებს ვაკვირდები, წყლის ფსკერს ვეძებ, ნაპირთან ვჯდები და წყლისკენ ვიხრები, მხოლოდ ხიდზე ან ნაპირზე შემოდის ლაპარაკი, და სიყვარულიც მხოლოდ აქ შემოდის, სხვაგან მკვდარივით ვარ, ყოველდღე გავრბივარ, და ყოველდღე წყალთან ვბრუნდები და აღარ ვტოვებ, ვიდრე არ ინათებს - ამ დროს ის გაიქცა, ხელი არ შევუშალე, უძრავად დავრჩი (ხიდებზე დილა ხალხით და პოლიციელებით სავსეა), შუადღემდე ხიდზე ვიყავი, მისი სახელი არ ვიცოდი და ჩემიც არ მითქვამს, ვერავინ ვერასდროს მიხვდება, ვის ვინ უყვარდა, ღამე, ხიდის ნაპირზე მწოლიარე (შუადღეს, ხმაურსა და პოლიციელებში, შუა ხიდზე უძრავად ვერ დარჩები), ასე რომ, დღისით კედელზე მივაწერე: მამა მე შენ მიყვარხარ, მამა მე შენ მიყვარხარ, ყველა კედელზე, რათა არ შეძლებოდა, არ წაეკითხა, ხიდზე ვიქნები, მამა, მთელი ღამე, სხვა ღამის ხიდზე, მთელი დღე გიჟივით ვირბინე: დაბრუნდი მამა დაბრუნდი, გიჟივით დავწერე: მამა, მამა, მამა, და ღამით შუა ხიდზე ველოდე, და როგორც კი ინათა, გავაგრძელე კედლებზე წერა, ყველა კედელზე, რათა შეუძლებელი ყოფილიყო, რომელიმეს არ შესჩებოდა: დაბრუნდი ხიდზე, მხოლოდ ერთხელ დაბრუნდი, სულ ერთხელ, ერთი წუთით დაბრუნდი, რომ დაგინახო, მამა მამა მამა მამა მამა მამა, მაგრამ დედამოვტყან, ყლესავით ვიცადე ერთი ღამე, ორი ღამე, სამი ღამე და მეტიც, ყველა ხიდი დავირბინე, ერთიდან მეორეზე გავრბოდი, რამდენიმეჯერ ყოველ ღამე, ოცდათერთმეტი ხიდია, არხების გამოკლებით, და დღისით ვწერდი, კედლები დაფარული იყო, მას არ შეეძლო არ წავეკითხე, მაგრამ დედამოვტყან, ის არ მოვიდა, და აღარც მოვიდოდა, მაგრამ გავაგრძელე კედლებზე წერა, და გავაგრძელე ხიდებზე სირბილი, ოცდათერთმეტი ხიდია, არხებს თუ არ ჩავთვლით, და მე ის ვერ ვიპოვე, წყალზე დახრილი, და ახლა ასეთი ისტორიები მორალს მირყევს, რადგან ძალიან შორს რომ მიდის, ყველაფერი ირევა, მე ვიცნობდი ქალს, რომელიც მკვდარია იმის გამო, რომ ყველაფერი ასე შორს წავიდა, ჩემს მორალს არყევს იმათი რიცხვი, ვინც მოკვდებოდა, ეს რომ უფრო იოლი ყოფილიყო, ვინც შორს წავიდოდა, ამის საშუალება რომ ჰქონოდა, რომ არ შემინებოდათ სიკვდილის საშუალების, რომ ცოდნოდათ, ბოლომდე მიაღწევდნენ, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა, დღე, როდესაც სიკვდილის წყეულ, უფრო მშვიდ ხერხს მიაკვლევდნენ და ამაზე წვდომა ყველას ექნებოდა, დაიწყებოდა ხოცვა-ჟლეტა იმგვარი ასტორიების გამო, რომლებიც ძალიან შორს მიდიან, წყეული ხოცვა-ჟლეტა, უდავოდ, ამ ქალის მსგავსად, რომელიც მოკვდა მიწის სანსვლით, ის სასაფლაოზე მიდის, საფლავებთან აღებინებს, ხელებით მიწას ბლუჯავს, ყველაზე ღრმა მიწას, და სანსლავს - ასეთი ისტორიები, თუკი მოუსმენ, თუ ნებას მისცემ, გაგიჟებს - იმიტომ, რომ ეს მიწა საფლავის მიწაა, მიწა, რომელიც კუბოებს ეხება: შენ, ვინც გარდაცვლილებს აციებ, შენ, ვისაც გააჩნია წყეული ჩვევა, ყველაფერი ძირისძირობამდე გააცივო ისე, რომ არაფერი

გაათბობს, გაცივებ ამჯერად შეშლილი, რომელიც მე ვარ! - ვინ უთხრა, რომ ეს იმუშავებდა? ამ დარტყმულ კახპას, მიწას რომელიც სანსლავდა, სანამ მიწას მიებარებოდა საფლავებს შორის, მე ეს კარგად დავინახე, - სხვა ბებერმა კახპამ ასწავლა ამ ხერხის შესახებ, ამ კახპას უეჭველად თავის მოკვლის რეცეპტები ჰქონდა, ამან შეარყია ჩემი მორალი, - წყეული დაღუპვა, ძალიან წყნარად! - მაგრამ ყველა მიწას ვერ შეჭამს, თუ გამოიგონებდნენ საშუალებას (მიწის ნაცვლად მცირე, მსუბუქი პუდრი, რომლის გადაყლაპვასაც ვერ იგრძნობ, ყველასთვის უფასო, და რომელიც დაგემხარებათ, როცა ისტორია ძალიან შორს წავა) ყველა გაცივდებოდა უმცირესი ისტორიის გამოც, რადგან, თუ მიუშვებ, ყველაზე პატარა ისტორიები, ყველაზე პატარებიც შორს მიდიან, და თქვენ სრულიად იბინდებით, მაგრამ ვისზეც მე ვამბობ, კახპა იყო, მე ის, ღამე, კახპების ქუჩაზე, მეოთხე სართულის ერთ-ერთ ფანჯარაში დავინახე, იქიდან სასაფლაომდე გავყევი, რას იფიქრებ, რომ კახპა, - კახპებიც გიჟდებიან, ახლავე გაჩვენებ ფანჯარას, რაც შემეხება მე, ახლა მე ჩემსას მივიღებ და დავახვევ: ასე გაწყობს? სწორია! - დავახვევ, სანამ ლაპარაკს დაიწყებს, ან ისე მოვიქცევი, ვითომ არ მესმის, თორემ ისეთ რაღაცას მოგიყვება, რაც მორალს შეგირყევს, რაც შემეხება მე, მიჩვენებ ჩემსას დავჯერდე: შენთვის ასე წავა? ოკ! -, დროულად უნდა დავახვიო, ვიდრე გრძელი ფრაზები დაიწყება, სხვათა შორის ერთხელ სავსებით საკმარისია იმის გასაგებად, რაც უნდა გაიგო, იმის შესაცნობად, რაც უნდა შეიცნო, ასი ათასი წელი რომ მეცხოვრა გოგოსთან, და თუნდაც სამასი ათასი წელი, მაინც არ მეცოდინებოდა იმაზე მეტი, რაც პირველ ჯერზე გავიგე, ამიტომაც, რომ ასე ვარ: წავა? წავიდა!, - სწრაფად უნდა ქნა და აუდო, გაიგო, რაც გასაგებია, იფიქრო, რაც საფიქრია, უცებ გაერკვე, იმიტომ, რომ ჯიგარო, შენ რა გგონია? როგორ უნდა შეიქმნა მასზე წარმოდგენა, თუკი არ მოტყნავ? ასი ათასი წელი ტყნაურის გარეშე, შენ მასზე არაფერი გეცოდინება, გარდა გრძელი ფრაზებისა, რომელიც ეგრევე გაყლევებს, გრძელი ფრაზებით მასზე რა უნდა გაიგო, თუკი არ იცი, როგორია მანამდე, თუ არ იცი, როგორ მოძრაობს, როგორ სუნთქავს, როცა საუბრობს ან ისტორიებს თხზავს, ან, თუ პირიქით, მას მოსწონხარ და არაფერს ამბობს, დუმილს ინახავს მხოლოდ თქვენ ორისთვის, როგორ უნდა გაიგო რამე მასზე, თუ არ იცი, როგორ სუნთქავს მასთან დაწოლის შემდეგ, თვალები ღია აქვს, თუ ხუჭავს, თუ არ უსმენ დიდხანს ხმაურს, რომელსაც სუნთქვისას გამოსცემს და დროს, რომელსაც სუნთქვას ანდომებს, რომელშიც ათავსებს თავის სახეს, რაც უფრო გრძელია მისი ჩასუნთქვა და შენ ამას უსმენ, მით უფრო მეტს იგებ მასზე, მაგრამ როგორც კი თვალებს ახელს, დგება, ნიკაპს იდაყვზე აყრდნობს, გიყურებს, იწყებს სუნთქვას, როგორც ნებისმიერი სხვა, ადებს პირს, სადაც ხედავ გრძელ ფრაზებს, გამოსასვლელად რომ ემზადებიან, უკვე მე აქედან უნდა დავახვიო, და: სწორია? სწორია! -, მაგრამ იმ ღამით მე კახპების ქუჩაზე მარტო ვიყავი, პარასკევ ღამეს, ჯერ კიდევ ვმუშაობდი,

მაგრამ ხვალ აღარ ვიმუშავებდი, და აი, თვალებს მაღლა ვწევ და ვხედავ, მეოთხე სართულის ფანჯარაში კახპის თავი ჩანს, სრულიად გამოყლევებული სახით, - თუ გინდა ნახო, მივიდეთ, - ფანჯარა, რომელზეც გელაპარაკები, მე იქ მარტო არ მივალ, ისინი არყევენ ჩემს მორალს, განსაკუთრებით ისეთ ღამეს, როგორც ახლაა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარასკევი ღამის უფრო მეშინია, ვიდრე სხვა ღამეების, პირიქით, ახლა, როცა აღარ ვმუშაობ, ვწუხვარ იმაზე, როგორც ხდებოდა მაშინ, პარასკევობით და მომდევნო ღამით, როცა არავინ მუშაობს, ყველას სახეზე დაღლა აკერია, მაგრამ არავინ ნებდება, ყველა მგზნებარებს, ჯაჭვებს იხევს, ყველა ბლუის და სიფათის ახევაზე საუბრობს, აქ ჯიგრები ბევრს ბლუიან, მაგრამ სიფათის ახევას არ ჩქარობენ, - ჩემთან ეგრევე გწეპავენ, ბლუილის გარეშე, არ ერიდებათ მაშინ, როცა აქ კილომეტრიან კითხვებს დაგაყრიან: გინდა რამე? რამე მითხარი? რას მიყურებ? რა გაცინებს? მეხები?, - თუ ეხები, ერთი საუკუნე გეკითხება, ნამდვილად შეეხე თუ არა, სანამ სიფათში გლეწავს, მე მაშინვე ვურტყამ, მოურიდებლად, დამიჯერე, მაგრამ იქ მე ვხედავ ფანჯარას, მეოთხე სართულზე, კახპა გამოყლევებული სახით აღებს, მხრის გასწვრივ იყურება, მშვიდად აღებს, ოთახში ქრება, ხელახლა ბრუნდება, მართლა ბოლომდე გამოყლევებული, და ხელებში ტანსაცმლის დიდი გროვა უჭირავს, ახლავე წავიდეთ და ვნახოთ, სადაც ეს მოხდა, თუ შენ არ გეშინია, მაგრამ ჩემთან ერთად საშიში არაფერია, ეგრევე ვხევ, როგორც კი ლაპარაკს დამიწყებენ, ამგვარად, ყველა ხედავს, კახპების ქუჩიდან, როგორ ეცემა შარვალი შუა ტროტუარზე, ჩანთასავით, და წითელი ქურთუკი პარაშუტივით როგორ მოფრინავს, საცვალი და პერანგი, აბრეშუმის მსუბუქები, ლამპიონს ეკიდება, ჰალსტუხი ჰაერში მოფარფატებს, ყველა კახპის გამოყლევებულ სახეს მისჩერებია მაშინ, როცა თვითონ, ფანჯრიდან გადმოზნექილი, ძირს დაყრილ და ჰაერში მოფარფატე ტანსაცმელს უყურებს - ახლა ის შიშველია, ის შიშველია! - ვიღაცა დარტყმულს გადაეყარა, ფიქრობს ყველა, ვინც ხედავს, ქუჩაში, ლამპიონზე, როგორ დროშასავით ფრიალებს ტანსაცმელი, რას იფიქრებ, რომ ეს შეიძლება კახპამ გააკეთოს, კახპებიც კი სარისკოები ხდებიან, ფიქრობს ყველა და ეჭვი უჩნდება კახპების ქუჩაზე, სად უნდა წავიდეთ? სად უნდა წავიდეთ? ამბობენ და საყელოებს იწევენ, და ყველა სხვაგან უხვევს, - სად წავიდეთ ახლა, სად წავიდეთ, ისე კითხულობენ, თითქოს ზევიდან მათთვის ზონების გეგმა შეექმნათ, რომელშიც მთელი კვირა უნდა გადაანაწილონ, და რომელშიც პარასკევი სადამოს, კახპების ქუჩაზე და სხვა ქუჩებზეც კარები იღება, და მაინც: სად უნდა წავიდეთ, სხვა გადაწყვეტილება არ არსებობს, და მე შევამჩნიე, მას შემდეგ, რაც არ ვმუშაობ, მთელი სერიები ზონებისა, რომელიც ნაბიჭვრებმა ჩვენთვის დახაზეს თავიანთ გეგმაზე და რომელშიც გამოგვამწყვდიეს ფანქრის მონახაზით, სამსახურის ზონები მთელი კვირისთვის, ზონები ბაიკისთვის და ზონები საფლირტაოდ, ზონები

ქალებისთვის, ზონები კაცებისთვის, ზონები ცისფრებისთვის, ზონები მოწყენილობისთვის, ზონები ლაყბობისთვის, ზონები დარდისთვის და ზონები პარასკევ საღამოსთვის, პარასკევ საღამოს ზონა, რომელიც მე დავკარგე მას შემდეგ, რაც ყველაფერი ამერია, და რომელიც მინდა ხელახლა მოვიპოვო, იმდენად კარგად ვგრძნობდი იქ თავს, იმდენად, რომ ვერც გადმოგცემ, მაგრამ მას შემდეგ, რაც აღარ ვმუშაობ და იმ ნაბიჭვრების გეგმებზე ყველაფერი აირია, ყოველ დამე ვცდილობდი მეპოვა, სად იყო პარასკევი საღამო, რომელშიც კარგად ვიყავი, მომდევნო დღეს არ ვმუშაობდი, ხიდზე ვიტყნაურე, უცხო კვარტლებში ვიხეტიალე იმდენად მარტომ, რომ ვერ გადმოგცემ, შენ ჩემთან ერთად წამოხვალ, რათა ისევ ისე გავიჩითოთ, აღარ შეგეშინდება, რადგან მე ეგრევე ვარტყამ, სწრაფად და მოურიდებლად, პარასკევ საღამოს თავიანთი დაღლილი და დიდი სიფათებით ავარდნილი კაიბიჭები ჩვენზე მეტად მშიშრები არიან, შიშით ეგრევე ენას იგდებენ, შიშით ერთმანეთს აყრიან, ერთმანეთს სახეს ახევენ შიშისგან, შიშია მათ მუშტებში, მათ მუხლებში, მათ პირებში, ეშინიათ, როცა უყურებ, და ეშინიათ, როცა არ უყურებ, ეშინიათ, რომ დასცინებ, ეშინიათ, რომ მათზე საერთოდ არ იფიქრებ, ეშინიათ დედიკოს ბიჭების, რომლებიც მათ ძალიან გვანან, და უფრო ეშინიათ იმათი, რომლებიც მათ საერთოდ არ გვანან, შენ მე წამომყვები და გაჩვენებ იმ ფანჯარას, სადაც კახპა მოფარფატე ტანსაცმელს უყურებდა, ჯიგარს, გაცოფებულს, ყალყზე დამდგარი თმით, რომელიც მთელი სიჩქარით მიდის, და უკნიდან კახპა გასძახის: ის პალტოს შიგნით სრულიად შიშველია, ის პალტოს შიგნით სრულიად შიშველია!, - კაიბიჭი, რომელიც მიწიდან თავის ქურთუკს და შარვალს კრეფს, და რომელიც შეჰყურებს თავის პერანგს, ალმოდებულს, თავის საცვალს და ჰალსტუხს, რომლებიც დროშებივით ფრიალებენ ლამპიონზე, ყველა თავის საყელოს იწევს და კითხულობს: სად წავიდეთ? სად წავიდეთ? კახპა ჯიგარს მისდევს, როგორც გიჟი, ისიც ნახევრად შიშველი, ჯიგარი თავის მანქანაში ჯდება, მანქანას ქოქავს, და კახპა, რომელიც მანქანის კარს ებლაუჭება, კაპოტზე ადის: არ გაუშვათ, არ გაუშვათ! - და კაიბიჭი, მგზნებარე, ამ დროს ადგილიდან მოწყდება, იქაურობას ყველა გაერიდება, მხრის გასწვრივ მაცქერალნი ეძებენ, სად წავიდნენ, სად წავიდნენ, ღმერთო ჩემო, თუკი კახპებიც, როგორ იფიქრებ, რომ კახპა, ამრიგად, ქალი მანქანას წყდება და გზაზე ვარდება, და კაიბიჭმა, მგზნებარემ, უნდა გააჩეროს, გიჟივით აპიპინებს, მაგრამ კახპა მანქანის ქვეშაა, ყველა, ვინც აქაურობას მოშორდა, საყელოაწეული: მიშველეთ, მიშველეთ, არ გაუშვათ! - ყველა წავიდა, გარდა რამდენიმე ბებერი კახპისა, უეჭველად ამათგან ერთ-ერთი ისაა, ვინც მას რეცეპტი მისცა: სასაფლაოზე წახვალ, მიწას ჩვევია, გააცივოს გაგიჟებული ბიჭები და გოგოები, ვინ უთხრა მას, რომ ეს ხერხი იმუშავებდა? და ახლა, ამ ქუჩაზე სიარული მორალს მირყევს, მარტოდმარტოს, რადგან ყოველთვის ვკითხულობ: იმ კახპას თუ იცნობდით, რომელიც მიწის ჭამით

გარდაიცვალა? გიჟად მიღებენ, თქვენ იცნობდით კახპას მეოთხე სართულიდან? მამიკოებს³ ემახიან, რათა მომიშორონ, მიუხედავად ამისა, მე ის დავინახე სასაფლაოზე, მკვდარი, და ამაზე ფიქრი, ბებერო, მხოლოდ ამაზე ფიქრიც კი ცუდად მხდის და დალევას მანდომებს (რომ არა ფულის საკითხი), აქედან დახვევა მინდება (რო ვიცოდე, სად), ოთახში მინდა ვიყო, ბებერო, სადაც ლაპარაკი შემეძლება, აქ ვერ ვახერხებ გითხრა ის, რაც უნდა გითხრა, სხვაგან ყოფნა მჭირდება, გარშემო არავინ, არა უფულობა და ბოზური წვიმა, უნდა მოვეშვა, როგორც ბალახზე მჯდარი, ან რაღაც ამგავრი, აღარ ვიმოდრაო, იმდენი დრო მქონდეს, რამდენიც მინდა, ხეების ჩრდილები, და მაშინ გეტყვი: სახლში ვარ, კარგად ვარ, ვიძინებ და ჩაო, მაგრამ ეს, ბებერო, შეუძლებელია, აქამდე გინახავს, რომ შვება დაგანებეს, აქამდე გინახავს, რომ დაგანებეს დაგეძინა და ჩაო?, არასდროს გივიწყებენ, ბებერო, ვერაფერს იზამ, შენით შეპყრობილები არიან, ტრაკზე გბწკენენ, მოსვენებას არ გაძლევენ, გაიძულებენ გაინძრე, გეუბნებიან: წადი იქ, და შენ მიდიხარ, იმის იქით წადი, და იმის იქით მიდიხარ, ტრაკი აწიე, და შენ იღებ შენს ჩემოდნებს, როცა ვმუშაობდი, ჩემს დროს ჩემოდნებში ვხარჯავდი: სამუშაო სხვაგანაა, ყოველთვის იმდენად სხვაგანაა, რომ მის საძებნად უნდა წახვიდე - საკუთარ თავში გარკვევის დრო არაა, არც ღრუბლებში ფრენის, არც ბალახზე წოლის და თქმის: ჩაო, პანლურით აგაგდებენ, სამუშაო იქითაა, და იმის იქით, უფრო შორს და კიდევ უფრო შორს, ნიკარაგუამდე გაგაგდებენ, იოლად, ვინაიდან იმათ, ვინც მსგავსი ქვეყნიდანაა, ტრაკში იოლად ურტყამენ, რათა აქ გამოაგდონ, არა ლაპარაკი, არა ძილი, არა ღრუბლებში ფრენა, თუ მუშაობა გინდა, გაინძერი, თუ ამის ნებას აძლევ: ჩვენ, აქაური ყლეები ვანებებთ, ტრაკში პანჩურით გადაგვაფრინონ ნიკარაგუამდე, და იქაური ყლეები, ისინი ანებებენ, ტრაკში პანჩურით აქ გადმოაფრინონ, ვინაიდან სამუშაო, თავისთავად, ყოველთვის სხვაგანაა და შენ ვერ იტყვი: სახლში ვარ და ჩაო (ისე ხდება, რომ ყოველთვის, ადგილი, რომლიდანაც ვბარგდები, უფრო მშობლიურად მეჩვენება, ვიდრე ადგილი, სადაც ვბანაკდები, და როცა ისევ ტრაკზე გბწკენენ, და შენ ხელახლა ბარგდები, იქ, სადაც აღმოჩნდები, კიდევ უფრო მეტად უცხოელი ხდები, და ასე მუდმივად: ყოველთვის მეტად უცხოს, და ნაკლებად შინს, სულ უფრო შორს გაგდებენ, და უკვე აღარ იცი, საით მიდიხარ, და როცა ბრუნდები, ბებერო, და უკან იხედები, ყოველთვის, ყოველთვის უდაბნოს ხედავ), მაგრამ ერთხელაც, რომ გაჩერდე და თქვა: ყველამ გააჯვით, მე აღარ გავინძრევი და თქვენ მე მომისმენთ, ერთხელაც, ბალახზე თუ წამოწვებით და გამონახავთ დროს, რათა გაერკვეთ, შენ მოყვები შენს ისტორიებს, ხოლო ისინი, რომლებიც ტრაკში რტყმით ნიკარაგუაიდან გამოაგდეს, ან მნიშვნელობა არ აქვს საიდან, თავიანთ ისტორიებს მოგიყვებიან, თქვენ იტყვით, რომ მეტად თუ ნაკლებად, უცხოები ხართ, მაგრამ

³იგულისხმება სუტენიორი (un mac). (მთარგმ.)

ჩაო, ახლა ჩვენ ვუსმენთ ერთმანეთს, მშვიდად, ყველაფერს, ვის რაც აქვს სათქმელი, ამგვარად, ყველა კარგად ხედავს და მეც, მეც დავინახე, რომ ისინი ჩვენს პირებს ტყნავენ, მე, მე გავჩერდი, მოვუსმინე, ვთქვი: მეტს აღარ ვიმუშავებ, ისინი ჩვენ გვტყნავენ, რას ემსახურება ეს, - ნიკარაგუელი მოვიდეს აქ, მე კი ნიკარაგუაში წავიდე, ყველგან ერთნაირად სხვაგანაა, და როცა ჯერ კიდევ ვმუშაობდი, ჩემი საერთაშორისო პროფკავშირის იდეის შესახებ ვესაუბრე იმათ, ვინც პანჩურით გამოეგდოთ, არ ვიცი, საიდან, მაგრამ აქ დაბანაკებულიყვნენ, რათა სამუშაო ეშოვათ, და მათ მომისმინეს, და მე მოვუსმინე ნიკარაგუელებს, რომელთაც მითხრეს, რომ მათთან ცხოვრობს ერთი მოხუცი გენერალი, რომელიც თავის დღეებს და თავის ღამეებს ტყის განაპირა ატარებს, მასთან საკვები დააქვთ, რათა იქიდან არ წავიდეს, ის ესვრის ყველაფერს, რაც მოძრაობს, როგორც კი ტყვია-წამალი უმთავრდება, მიუტანენ, ისინი მიყვებოდნენ გენერლის შესახებ, რომელმაც თავისი ჯარისკაცებით ტყეს ალყა შემოარტყა, მათთან, იქ, და რომლებიც ბუმბულს აყრევიან ყველას, ვინც ფოთლებზე მაღლა აფრინდება, ყველას, ვინც კიდეზე აღმოჩნდება, ყველას, ვისაც შენიშნავენ, რომ ფოთლებისფერი არაა, ან ფოთოლივით არ ცახცახებს, მათ მე მომისმინეს და მე მათ მოვუსმინე, და მე ჩემს თავს ვუთხარი: სხვაგან ყველგან ერთია, რაც უფრო ვანებებ, პანჩური ამომცხონ, მით უფრო უცხოელი ვხდები, ისინი ამთავრებენ აქ და მე დავამთავრებ იქ, - იქ, სადაც ყველაფერი მოძრავი მთებში მიმაღულა, ტბების განაპირა, ტყეებში მაშინ, როცა გენერალი თავის ყველა ჯარისკაცით მთებში დადის, ტბის ნაპირებს დაეძებს, ყოველ ტყეს ალყას არტყამს და ისინი ბუმბულს გააძრობენ ყველას და ყველაფერს, რაც გაინძრევა, და არ აღმოაჩნდება იგივე ფერი ან მოძრაობა, რაც ქვებს, წყალსა და ხეებს, მე ეს მოვისმინე და გავჩერდი, მეტს აღარ გავინძრევი, მე ვამბობ: აქ, შინ ვარ, თუ სამუშაო არაა, არ ვმუშაობ, თუ მუშაობა მაყლევებს და ტრაკში მირტყამენ, საერთოდ აღარ ვიმუშავებ, ძილი მინდა, მინდა ჩემს თავში ბოლომდე გავერკვე, მინდა ბალახი, ჩრდილი და ხეები, მინდა ვიყვირო და შემემლოს ვიყვირო, თუნდაც მესროლონ ამის გამო, რადგან ისინი სწორედ ასე ამთავრებენ: თუ არ ეთანხმებით, თუ პირს აღებთ, ტყის გულში უნდა დაიმალოთ, ისინი, როგორც კი მოძრავს შეგნიშნავენ, ტყვიამფრქვევის ჯერით ბოლოს მოგიღებენ, მაგრამ მით უარესი, მე შენთვის ნათქვამი მექნება სულ ცოტა, რაც სათქმელი მექონდა, აქ მე ამას ვერ გავაკეთებ, მაგრამ სხვაგან, ოთახში, სადაც ღამეს, ღამის ნაწილს გავატარებდით, რადგან გათენებამდე წავიდოდი, სანამ თავს მოგაბეზრებდი, დროულად წავიდოდი, სანამ შენ წასვლას გადაწყვეტდი, რადგან თუ ყელში ამოგივიდოდა და დამტოვებდი, ვიდრე ამის დრო მოვიდოდა, მე მგრძნობიარე ბიჭი არ ვარ, ან ისეთი, ვისაც ამით რამე მოუვა (და შეგიძლია, რაც გინდა, ის გააკეთო), მაგრამ მე ვიცნობდი რკინის ბიჭებს, ყველაზე დამრტყმელი რკინის ბიჭები აიღე, ტრუხა და რამე არა,

რომლებიც ლეწავენ და სისხლის არ ეშინიათ, არც რამე აღელვებთ (რკინის კასტა, ჯობია არ გადაეყარო, როცა ავარდნილები არიან), ჰოდა, ასეთ ბიჭებს, ზუსტად ასეთს, მშვიდად, უდავიდარაბოდ, მკლავზე წვრილი ნემსით პატარა ნაჩხვლეტს უკეთებ, ისინი, უცებ, ხედავენ პატარა სისხლის წვეთს (მათი სისხლი სიჩუმეში, ისე, რომ ავარდნაც ვერ მოასწრეს, რა მოხდა?!), რკინაზე ურკინესი თეთრდება, ძირს ვარდება, თვალებს ატრიალებს, არადა არაფერი, ამრიგად, მე, მგრძნობიარე ბიჭი არ ვარ, მაგრამ, თუ შენ სწრაფად აითესები, სხვათა შორის, ეს მხოლოდ ათესვას არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ ნულად მთვლი, იმიტომ, რომ დღეს შეიძლება ასე ჩამთვალო, იმიტომ, რომ დღეს ყველაფერი ისე არაა, როგორც უნდა იყოს, მე მართლა არ შემიძლია კმაყოფილი ვიყო, როგორც ესენი, სულ რომ კმაყოფილი სახე აქვთ, ყოველთვის მზად არიან, გაათავონ, ჩემს თავში, უკან, ყოველთვის დევს ტყის ამბები, რომელიც უცებ, წინ გადმოდის, სადაც ტყვიამფრქვევის გამო ვერავინ ბედავს გაინძრეს, ან კახპის ამბები, რომელიც მიწამ შთანთქა და მის შესახებ არავინ იცის, მაშინ, როცა ამათ, აქ, თავში, უკან, არაფერი უდევთ, მზად არიან სიამოვნებისთვის, მზად არიან გართობისთვის, მზად არიან გაათავონ ყველაფერზე, რაზეც შეუძლიათ, მნიშვნელობა არა აქვს, სად და როდის, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რაღაცა იშოვონ, ეს ფრანგი ყლეები მზად არიან, გაათავონ თავიანთ ბუმბულზე, თავის კუნჭულში, და თავში, უკან, არაფერი უყრიათ, რაც დაუშლიდა, გაეთავებინათ ყველგან, გაეთავებინათ ჩვენს პირებში, ამ ყლეების ბინძური თესლი, მაშინ, როცა მე ეს ისტორიები უკან მაქვს, თავში, მე არ ვამბობ, რომ არასდროს არაფერი გამომდის, უბრალოდ ბიჭი ვარ, რომელიც ამ ამბების გამო ვერასდროს ათავებს მართლა ბოლომდე, თუმცა ზოგჯერ კარგად ვარ, ძალიან კარგად, როგორც აქ, ახლა, თუ უცებ არ მოტყდები და დრო მექნება, მაგრამ თავში, უკან, ყოველთვის ისეთი სევდაა, არ ვიცი, როგორ გადმოგცე, იმ ამბის გამოც, რომ შეიძლება მოგბეზრებოდა (იმიტომ, რომ შეიძლება, დღეს მართლა ნული ვარ, მაგრამ ერთი დღით), და შეიძლება ათესილიყავი, ასე რომ, მგრძნობიარე ბიჭი არ ვარ (შეგიძლია, რაც გინდა, ის გააკეთო), მაგრამ თვითონ არ ვიცი, რას ვიტყვოდი, იმას, რომ მინდა ვიყო, მნიშვნელობა არა აქვს რა, ხის გარდა, ნიკარაგუას ტყეში დამალული, როგორც ციცქნა ჩიტი, რომელსაც ფოთლებზე გადაფრენა სურს, გარშემო ჯარისკაცები ტყვიამფრქვევებით არიან დაბანაკებული, ისინი მას მიზანში იღებენ, და ელიან, როდის ამოძრავდება, აქ ის ადგილი არაა, სადაც ამაზე ვისაუბრებთ, საჭიროა, ვიპოვოთ ბალახი, სადაც შეგვეძლება დავწვეთ, თავზევით სრული ცა, და ხეთა ჩრდილები, თუ არადა ოთახი, რომელშიც დრო გვექნება, მაგრამ თუ იმას ფიქრობ, რომ მხოლოდ ოთახს ვეძებ, არა, მე არ მეძინება, და ერთი ღამით ოთახის შოვნაზე იოლი არაფერია, ტროტუარები გადაჭედებულია ოთახის მძნებნელებით და მიმცემებით, და თუ შენ ფიქრობ, რომ მე იმიტომ გესაუბრები, რომ გესაუბრო, არა, მე ეს არ მჭირდება,

როგორც ამ ყლებს, გარეთ, მე მათნაირი არ ვარ, მე ვარ ბიჭი, დგომას და ლაპარაკს მირჩევნია ლამაზ გოგოს ავედევნო და ვუყურო, რატომ უნდა მოგინდეს აკეთო სხვა რაღაც, როცა შეგიძლია ლამაზ გოგოს უყურო, მაგრამ მე ბიჭი ვარ, და გოგოს საცქერად ხეტიალს უბრალოდ ხეტიალი მიჯობს, და ეს ჰობი მყოფნის, მთელი ცხოვრება ვიარე, დროდადრო ვირბინე, გრძელ სკამზე ვჯდებოდი, დავდიოდი ნელა, ან უფრო ჩქარა, არასდროს ვსაუბრობდი, მაგრამ შენთან სხვანაირადაა, და ასეა, როგორც კი დაგინახე, და ახლა საჭიროა, ყველაფერი აგისხნა, თუმცა მე უკვე დავიწყე, შენ კი არ აითესე და ყლესავით არ დამტოვე, მიუხედავად იმისა, რომ ახლა, ჩემს ბინძურ სახეს ხედავ, ჩემი თმები და ტანსაცმელი არ გამშრალა, და მე არ მინდა სარკეში ჩახედვა, რომელიც ჩემს ზურგსუკანაა მაშინ, როცა შენ წვიმა არც შეგეხო, წვიმამ გვერდი აგიარა, საათები გადიან შენ მიღმა, ეს იყო მიზეზი, მივმხვდარიყავი, რომ შენ მხოლოდ ბავშვი ხარ, ყველაფერი გვერდს გივლის, არაფერი იმღვრევა, შენს სახეზე არაფერია ბინძური, სარკეებს ვირიდებ და შენი ჭკრეტით არ ვილლები, შენ არ იცვლები, და რომ არა ფულის საკითხი, უფრო ლუდს გადავიხდიდი, ვიდრე ყავას, - და მაშინ მართლა კარგად ვიგრძნობდით თავს, რამდენიმე კათხას დავლევდით, რაც თავიდანვე მინდოდა, როგორც კი მოსალამოვდა, მე უკვე დავლიე ერთი, და მეორეც, ან მესამეც, შეიძლება მეოთხეც, და მეტიც, რამდენი, აღარ ვიცი, მთელი ფული, რომლისთვისაც სულის შებერვა მინდოდა, ახლა ჩვენ მას სულს შევუბერავდით, ახლახან რომ არ აეხიათ, საკმარისი ფული მექნებოდა მთელი ღამე ლუდის დასალევად, იმდენის, რამდენიც მოგინდებოდა, რომ o.k. ყოფილიყავი, მაგრამ მეტროში ამახიეს, ეგეთი სინაგლე გინახავს, საერთოდ არაფერი დამრჩა, მარტო წინა პატარა ჯიბეში რაც მედო, ორი ყავის სამყოფი, და მე მათ გავეკიდე, თითქოს მე მდომოდა მათთვის მაყუთის ახევა, ვიდრე ისინი ამახევენ და სიფათშიც მხევენ, მეტროს გადასასვლელში მოძრაობდა ორი როჟა, ისეთი როჟებით, რო უეჭველი იცი, რაღაცას ეძებენ, რაღაცის გაკეთება უნდათ, შენძრეული როჟები, ფორმაში არიან, უკან მივსდევ და ჩემთავს ვეუბნები: შეგვიძლია ერთად ლუდი დავლიოთ, - იმდენად შენძრეულები არიან, რომ მუდმივად მინდება, უკან ვდიო, რათა ერთს, ან მეორეს ვუთხრა: მომე შენი ზმანი, შენი ფეხსაცმლები, შენი თმა, შენი პახოდკა და შენი სიფათი, როგორც არის ისე, მე კი რასაც გინდა, მოგცემ (და თუ ის მე ამათ მომცემდა, არც შევტრიალდებოდი, რათა მენახა, როგორი ვარ), ისინი არ ტრიალდებოდნენ, რადგან ვერ მამჩნევდნენ, მე მათ თვალს არ ვაცილებ, და მათ მერე პირველივე მეტროში ავდივარ, თან ჩემს თავს ვეუბნები: მე მათ დავპატიყებ და ერთად ლუდს დავლევთ, ღამეს ერთად გავატარებთ და გაგვისწორდება, - მაგრამ ამ დროს, როცა ამას ვფიქრობ, ვგრძნობ, უკნიდან, ერთ-ერთი ამ ორიდან, ჯიბეში ხელს მიცურებს და ჩემს საფულეს იღებს, უცებ არ ვინძრევი, ფორმას ვიჭერ, ჩემს თავს ვეუბნები: ჯიგარო, შარის გარეშე, მე მათ ვეტყვი და ფაიზალი ეს

იმუშავებს, ვტრიალდები და ვამბობ: - o.k., ყლეობის გარეშე, გპატიჟებთ და ლუდი დავლიოთ, მერე ერთად რამეს ვიზამთ, გაგვისწორდება, - ჩემ უკან როჟა თავის ამხანაგს უყურებს, ჩუმად არიან, ვითომ არ ვუნახივართ, -o.k., არ ვყლეობთ, მაყუთს მიბრუნებთ და დასალევად მივდივართ, ცოტას შევუბერავთ და მერე შევხედავთ -, ისინი კვლავაც ერთმანეთს უყურებენ, თითქოს არაფერი ესმით, და შემდეგ თანდათან, თვალებით, აი ასე, ერთმანეთში თანხმდებიან და იწყებენ სულ უფრო ხმამაღალ ლაპარაკს ყველას გასაგონად ისე, რომ ზედ არ მიყურებენ: რა უნდა ამას? გვეძებს, თუ რა? ვინ არის ეს ტიპი? რატომ გვირტყამს? - ისინი კარისკენ მიბიძგებენ: შემდეგ გაჩერებაზე ჩამოვიყვანოთ ეს პიდარასტი და სახე ავახიოთ -, ამ დროს, მე მათ ვეუბნები: o.k., თქვენ მამლევთ ჩემს ფულს და ვიშლებით, მაგრამ ისინი ამბობენ: რას შეგვიჩნდა ეს პიდარასტი, სახე ავახიოთ -, არავინ არ რეაგირებს, ფული არავის ახსოვს, ყველა პიდარასტზე ფიქრობს, და მე პირველივე სადგურზე ჩამოვდივარ ისე, რომ არავინ ინძრევა, და მათ, როცა ჩემი, როგორც უკანასკნელი პიდარასტის, სახის ახევა დაამთავრეს, ჩემივე მაყუთით მოხიეს (მე ვყვირი, მაგრამ არავინ იჯერებს), მე, უცებ არ ვინძრევი: მიუხედავად ყველაფრისა, ჯიგარო, არ აღელდე, გრძელ სკამზე დაჯექი, არ იმოძრაო, დარჩი იქ -, ვხედავ, სულ ესაა და ეს მოქმედებს: შორიდან მუსიკა მოისმის, ზურგსუკან, გადასასვლელი გვირაბის ბოლოში ქუჩის მუსიკოსი უნდა უკრავდეს (ეს o.k.-ია, მაგრამ შენ მაინც არ გაინძრე), პირდაპირ, მეორე ბოლოში გიჟი ბებო ზის, ყვითლები აცვია, რაღაც ნიშნებს აკეთებს ღიმილით (გუყურებ, ვუსმენ, კარგია), რელსის დამცველზე, მაღლა ქალი გაშეშდა, რათა ამოისუნთქოს, ზუსტად ჩემ გვერდით არაბი დამჯდარა, რომელიც არაბულად ღიღინებს რაღაცას (ჩემს თავს ვეუბნები: მაინც არ აღელდე, ჯიგარო, მიუხედავად ყველაფრისა), და ჩემ წინ, ვხედავ, დარწმუნებული ვარ, რომ ვხედავ: ქალიშვილი ღამის პერანგით, თმები წელამდე წვდება, ჩემ წინ მუშტებმოკუმული გადის, თავის ღამის თეთრ პერანგში, და ზუსტად ჩემ წინ სიფათი ემღვრევა, გვირაბის ბოლომდე მიდის ქვითინით, აბურდული თმები, მოკუმული მუჭები და მისი ღამის პერანგი, ამ დროს, უცებ, ამასხა, მორჩა, აღარ შემიძლია, გადამეკეტა, არ შემიძლია არავინ, თითოეული თავის პატარა ისტორიით თავის პატარა კუთხეში, თითოეული თავის სიფათით, ყველაზე გავჭედე, ჩხუბი მინდა, ქალი მაღლა, რელსის დამცველზე ჩამოკიდებული, მინდა ვცემო, და არაბი, რომელიც თავისთვის, მარტო, რაღაცას ღიღინებს, მინდა ვცემო, ჩემ ზურგსუკან გაღლეტილი მუსიკოსი, გადასასვლელის სიღრმეში, გიჟი ბებო წინ, მაგიჟებს ეს სიფათები და მთელი ეს აბდაუბდა, ქალიშვილი ღამის პერანგში სადგურის მეორე ბოლოში აქამდე ქვითინებს, და მე, მე ვიწყებ ცემას, მინდა, რომ გავლახო ჯიგარი, ბაბო-ბაბუები, არაბები, გაღლეტილები, ფილებიანი კედლები, მეტროს ვაგონები, კონტროლიორები, პოლიციელები, გავარტყა ჩასარიცხ აპარატებს, სილა გავაწნა აფიშებს, დედა

მოვუტყნა ლამპიონებს, ამ ბოზურ სუნს, ამ ბოზურ ხმაურს, ლუდის კათხებზე ვფიქრობ, რომელიც დავლიე და რომელსაც კიდევ დავლეე, სანამდეც მუცელში ჩამეტევა, ვიჯექი გალახვის ამ სურვილით, ჯიგარო, ვიდრე ყველაფერი დასრულდება, ყველაფერი გაჩერდება, და ამ დროს, უცებ, მართლაც ყველაფერი ჩერდება: მეტროები აღარ დადიან, არაბი ჩუმდება, ქალი, იქ, ზევით სუნთქვას წყვეტს, და ქალიშვილი ღამის პერანგით, მისი სლუკუნის აღარ ისმის, ყველაფერი უცებ ჩერდება, გარდა მუსიკისა, რომელიც სიღრმიდან მოისმის, და გიჟი ბებოსი, რომელსაც პირი დაუღია და წარმოუდგენელი ხმით მღერის, გალექტილი ქუჩის მუსიკოსი მოშორებით უკრავს, თუმცა, არ ჩანს, და ბებო მღერის, ერთმანეთს ისე უწყობენ, თითქოს ერთად მოამზადეს (სრულიად წარმოუდგენელი მუსიკაა, რაღაც, ოპერის მსგავსი, ან ეგეთი ყლეობა), ისე ძლიერად, ისე ერთად, რომ ყველაფერი ჩერდება, და ყვითლებში გამოწყობილი ბებოს ხმა ავსებს ყველაფერს, ჩემს თავს ვეუბნები: o.k., ვდგები, მიხვეულ-მიხვეულებში მივდივარ, კიბეებზე ვხტები, მიწისქვეშიდან გავდივარ, და გარეთ გავრბივარ, ისევ ლუდზე ვფიქრობ, გავრბივარ, ლუდზე, ლუდზე, ჩემს თავს ვეუბნები: რა ბორდელია, ოპერის არიები, ქალები, ცივი მიწა, ქალიშვილი ღამის პერანგით, კახპები და სასაფლაოები, და მე გავრბივარ ისე, რომ ჩემს თავს ვერ ვგრძნობ, რაღაცას ვეძებ, რაც ბალახივით იქნება ამ ჯართში, მტრედები ტყეზე მაღლა ფრინდებიან და ჯარისკაცები მათ ესვრიან, გალექტილი ქუჩის მუსიკოსები უკრავენ, შენძრეული როჟები ვირთხებზე ნადირობენ, გავრბივარ, გავრბივარ, გავრბივარ, ვოცნებობ არაბის იდუმალ სიმღერაზე, რომელიც მხოლოდ ერთმანეთში ესმით, ძმებო, მე შენ გპოულობ და ხელს გიწვდი, ისე მწყურია ოთახი და ისეთი სველი ვარ, მამა მამა მამა, არაფერი თქვა, არ გაინძრე, მე შენ გიყურებ, მე შენ მიყვარხარ, მეგობარო, მეგობარო, მე, მე ვეძიე ვიღაც, ვინც ანგელოზს ემგვანებოდა ამ საბოზეთში, და შენ აგერ ხარ, მე შენ მიყვარხარ, და დანარჩენი, ლუდი, ლუდი, და მე ისევ არ ვიცი, როგორ უნდა გითხრა, რა აბდაუბდაა, რა ბორდელია, მეგობარო, და მერე სულ წვიმა, წვიმა, წვიმა, წვიმა“

(1977)